ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7462227

ნომერი: AR11088047

თარიღი : 22.04.2025

გაცემის თარიღი : 29.04.2025

გაცნობის თარიღი : 29.04.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა, N 111;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა გოგოლაძე პ/ნ 11001009495
- ბორჯომი დ. ბაკურიანი მთის ქ. N 30

ორგანიზაცია:

- შპს არქტური ლისი კოდი: 426138271

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 22 აპრილს №AR11088047 განცხადებით მომართა ლაშა გოგოლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებით შეთანხმდა, №01.14.16.008.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა №7) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურის 2025 წლის 11 თებერვლის №7375365 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და საერთო ფართობად დაფიქსირდა 6284.2 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 4378.9 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1054.0 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 833.1 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა, 0.00 ნიშნულის გეგმისა) ჩანაცვლდა 2025 წლის 22 იანვრის №AR11074567 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით გასწორებული გეგმებით.

ამასთან, სამსახურის 2025 წლის 15 აპრილის №7448218 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 650.2 კვ.მ. ხოლო, „პარკინგების ნუმერაციის გეგმა“ ჩანაცვლდა 2025 წლის 31 მარტის №AR11084752 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გასწორებული „პარკინგების ნუმერაციის გეგმით.“

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად 1054.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1053.3 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო. აღსანიშნავია, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და 6284.2 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 6283.5 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 1053.3 კვ.მ., საერთო ფართობად 6283.5 კვ.მ-ს.
2. სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანებით შეთანხმებული +1.500 - +14.700 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 5 ნოემბრის №7275852, 2025 წლის 11 თებერვლის №7375365 და 2025 წლის 15 აპრილის №7448218 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.